

# შპს „ჯეო მეტალ“

თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ქ. თერჯოლის მიმდებარე  
ტერიტორია

ფეროშენადნობთა საწარმოს  
ექსპლუატაციის პირობების ცვლილების  
სკრინინგის განაცხადი

შპს „ჯეო მეტალ“  
დირექტორი: ვ. ვაჭარაძე

თერჯოლა 2023

შინაარსი

1. შესავალი.....	3
2. საწარმოს განთავსება.....	4
3. გზშ-ს ანგარიშით გათვალისწინებული საქმიანობა.....	0
3.1. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა.....	3
3.2. ღუმელის ტექნიკური პარამეტრები.....	4
3.3. აირმტვერგამწმენდი სისტემა.....	4
3.4. წყალმომარაგება-კანალიზაცია.....	5
3.5. ნარჩენების მართვა.....	6
4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებულ და ფაქტიურად არსებულ მდგომარეობას შორის არსებული შეუსაბამობები.....	11
4.1. ფაქტიური მდგომარეობის აღწერა.....	11
4.2. ტექნოლოგიური პროცესი ექსპლუატაციის პირობების შეცვლის შემდეგ.....	20
4.3. ღუმელის ტექნიკური პარამეტრები.....	22
4.4. აირმტვერდამჭერი სისტემა.....	22
4.4.1. აირმტვერდამჭერი მოწყობილობის დეტალური დახასიათება.....	23
5. ექსპლუატაციის პირობების შეცვლით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	25
5.1. ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე.....	25
5.2. ზემოქმედება ხმაურის წარმოქმნა-გავრცელებაზე.....	26
5.3. ზემოქმედება წყლის რესურსებზე.....	26
5.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	27
5.6. ნიადაგის/გრუნტის დაბინძურების რისკები.....	27
5.7. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება.....	27
5.8. ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება.....	28
5.9. ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე.....	28
5.10. ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.....	28
5.11. ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.....	29
5.12. კუმულაციური ზემოქმედება.....	29
5.13. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.....	29
დანართი.....	30
დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.....	31
დანართი 2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.....	33
დანართი 3. ადმინისტრაციული მიწერილობა.....	37

# 1. შესავალი

შპს „ჯეო მეტალ“-ის ფეროშენადნობთა საწარმო განთავსებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ქ.თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე. საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტმა 2019 წელს გაიარა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პროცედურები.

საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 მარტის N2-251 ბრძანების საფუძველზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (დანართი 2.).

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 10 აგვისტოს N DES3220000207 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ჯეო მეტალ“-ის კუთვნილი ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 მარტის N2-251 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შემოწმება.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს საქმიანობა არ ხორციელდება გზშ-ს ანგარიშში განხილული სქემის შესაბამისად. კერძოდ:

- შეცვლილია საწარმოს ტერიტორიის კოორდინატები, გაზრდილია ფართობი;
- შეცვლილია საწარმოს საინჟინრო პარამეტრები;
- შეცვლილია ღუმელის განთავსება ადგილი და ბუნკერების რაოდენობა;
- გზშ-ს ანგარიშით გათვალისწინებული საწარმოს ტერიტორიაზე წიდის დასაწყობებისა და ტერიტორიიდან გატანის ნაცვლად ხდება წიდის გაცივების უბანზე წარმოქმნილი დიდი ზომის წიდების გადამუშავება, საწარმოში დამონტაჟებული მშრალი მსხვრევის დანადგარით და მიღებული წვრილფრაქციული წიდის კვლავ წარმოებაში გამოყენება.

ზემოაღნიშნული დარღვევებზე იმსჯელა თერჯოლის მაგისტრატმა სასამართლომ. სასამართლოს 2022 წლის 05 ოქტომბრის N4/151-2022 დადგენილებით, კომპანია ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად და შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი.

დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული იქნა 2023 წლის 25 აპრილის N003167 ადმინისტრაციული მიწერილობა (დანართი 3.), რომლითაც შპს „ჯეო მეტალ“-ს დაევალა სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ერთი თვის ვადაში, მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

ექსპლუატაციის პირობების შევცლა არ გულისხმობს საწარმოს წარმადობის, გამოყენებული ნედლეულისა და მასალების, და სხვა პარამეტრების ცვლილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელის შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.

<b>საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია</b>	<b>შპს „ჯე მეტალ“</b>
კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართი	ზესტაფონისმუნიციპალიტეტი, სოფ. ზედასაქარა
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	თერჯოლა, ქ.თერჯოლის მიმდებარედ
საიდენტიფიკაციო კოდი	430036695
საქმიანობის სახე	სილიკომანგანუმის ჩამოსხმა
საკონტაქტო პირი	ვიქტორ ვაჭარაძე
ელექტრონული ფოსტა	Itdgeometal@gmail.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 94 99 42
<b>საკონსულტაციო კომპანია:</b>	<b>შპს „სამნი“</b>
დირექტორი თეიმურაზ კეპულაძე	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	+995 591 15 72 72
ელექტრონული ფოსტა	samni2011@gmail.com


## 2. საწარმოს განთავსება

შპს „ჯეო მეტალი“-ს ფეროშენადნობი საწარმო მოწყობილია თერჯოლის მუნიციპალიტეტის, ქ. თერჯოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს-ს კუთვნილ 5950 მ<sup>2</sup> არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.09.43.590 (დანართი 1)). მიწის ნაკვეთი განთავსებულია ყოფილი შამპანურების ქარხნის ტერიტორიის მიმდებარედ, სამრეწველო ზონაში.

ტერიტორიის წინა კოდია 33.09.43.302, ფართობი 4769 მ<sup>2</sup>. 2019 წელს საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციაში შესვლის პარალელურად მოხდა მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება.

33.09.43.590 ნაკვეთის ტერიტორიის კუთხეთა წვეროების GPS კოორდინატები მოცემულია N2.1 ნახაზზე, ხოლო კოორდინატები ცხრილში 2.1.

ნახაზი 2.1



ცხრილი 2.1.

წერტილის N	GPS კოორდინატები	
	X	Y
1	330535.97	4669119.64
2	330507.95	4669076.61
3	330503.64	4669066.59
4	330504.31	4669053.14
5	330506.54	4669045.87
6	330514.33	4669032.25
7	330536.40	4669001.44
8	330538.74	4669003.03
9	330540.86	4668999.92
10	330596.84	4669052.33
11	330562.08	4669084.85
12	330565.25	4669088.49
13	330541.22	4669115.18
14	330543.15	4669117.87
15	3305.39.50	4669121.13
16	330537.36	4669118.88

საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით და სამხრეთით მიედინება მდინარე ჩოლაბური (სურათი 2.1.). მდინარემდე უახლოესი მანძილი შეადგენს 210 მ-ს.



სურათი 2.1.

ჩრდილო- დასავლეთით განთავსებულ ავტომაგისტრალამდე უახლოესი მანძილია 310 მ, საიდანაც ტერიტორიამდე შემოდის გრუნტის გზა (სურათი 2.2. ).



სურათი 2.2.

უახლოესი დასახლებული პუნქტია ქ.თერჯოლა, პაოლო იაშვილის ქუჩის დასახლება, რომელიც საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან 500 მ-ზე მეტი მანძილითაა დაშორებული. უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი 530 მ-ია.

საწარმოს გათავსების სიტუაციური სქემა მოცემულია ნახაზზე 2.2.

საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ განლაგებულია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, მოქმედი და უმოქმედო საწარმოები.

დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ტერიტორიას ესაზღვრება თავისუფალი მიწის ნაკვეთები(სურათი 2.3. და 2.4.).



სურათი 2.3.



სურათი 2.4.

აღმოსავლეთით მდებარეობს სამშენებლო მასალების (ცემენტისა და სამშენებლო ბლოკის) საწარმო, ასფალტის საწარმო (სურათი 2.6.).



სურათი 2.5.





სურათი 2.6.

ჩრდილოეთით, ყოფილი ნავთობბაზის ტერიტორიაზე მოწყობილია ბეტონის საწარმო (სურათი 2.7). სამხრეთით ავტოპარკი (სურათი 2.8.). სამხრეთ აღმოსავლეთით ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი და ქვის დამამუშავებელი საწარმო.



სურათი 2.7.



სურათი 2.8.

500 მ-იან რადიუსში არსებული საწარმოები მოცემულია ნახაზზე 2.3.

ნახაზი 2.2.





### 3. გზშ-ს ანგარიშით გათვალისწინებული საქმიანობა

შპს „ჯეო მეტალ“-ის საწარმოს მოწყობა მოხდა წლების წინ სამეწარმეო მიზნით გამოყენებულ ტერიტორიაზე არსებულ შენობებში.

ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარები განთავსება დაგეგმილი იყო რკინის კონსტრუქციის შენობაში, რომელიც მდებარეობს ტერიტორიის სამხრეთაღმოსავლეთ საზღვართან, ხოლო ნედლეულის საცავი მოწყობა ერთსართულიან გადახურულ ფართში, რომელიც ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ საზღვართანაა განთავსებული. ნედლეულის საცავის მართობულად მდებარე ასევე ერთსართულიანი შენობა გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებით.


მთელი ტერიტორია დაფარული იყო 10 სმ-სისიქის ბეტონის ფენით, ამიტომ მიწის სამუშაოები არ ჩატარებულა

ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაგეგმილი იყო აირგამწმენდი სისტემა და გაფრქვევის მილის განთავსება, მის გვერდით გაგრილების სისტემის წყლის შხეფსაცივარის მოწყობა.

ტერიტორიის შუა, მობეტონებული ნაწილი განკუთვნილი იყო ნედლეულის შემოტანისა და პროდუქციის გაზიდვის დროს ტრანსპორტის მოძრაობისა და წილების დროებით განსათავსებლად.


გზშ-ს ანგარიშით გათვალისწინებული ტექნოლოგიური უბნების განთავსების სქემა მოცემულია გენ-გეგმაზე (ნახაზი 3.1.), ხოლო ძირითად საამქროში ტექნოლოგიური მოწყობილობების განთავსების სქემა მოცემულია ნახაზზე 3.2.

ნახაზი 3.1. გენ-გეგმა



ნახაზი 3.2.

გეგმა +6.10 ნიშნულზე  
მ:200



**მესკლიბაცია:**

1. საჯარო შენობა.
2. ნედლეულის საფუძე.
3. ელ. ღუმელის საამბრო.
4. მაღანთერგიული ღუმელი  $\phi = 5000$ .
5. საპაწმე ბუნებრივი. 4- ცალი.
6. სადოჯატორო ბუნებრივი. 4-ცალი.
7. კოჭური ამფე.
8. ბაქანი.
9. პანდუსი.
10. ლითონის კიბე.

### 3.1. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

ფეროსილიკომანგანუმის გამოდნობა ხორციელდება ელექტრორკალურ ღუმელში. პროცესი არის უწყვეტი და აღდგენითი (კოქსის ნახშირი მაღალ ტემპერატურაზე აღადგენს მანგანუმს და სილიციუმს, რომელთა შეერთებითაც მიიღება სილიკომანგანუმი). დნობა მიმდინარეობს დახურული ელექტრორკალით.

ტექნოლოგიური პროცესისათვის აუცილებელი მასალები შემოიზიდება ავტომობილებით და საწყობდება დახურულ საწყობში, საიდანაც ავტოდამტვირთველით მიეწოდება კაზმის უბანს და თავსდება ბუნკერ-დოზატორებში. დოზატორებიდან ნედლეული საჭირო დოზებით იყრება ტრანსპორტიორის ლენტაზე და გროვდება საკაზმე კალათაში. კალათის შევსების შემდეგ დოზირებული კაზმი ტელფერის საშუალებით იყრება ღუმელის მკვებავ (ე.წ. სახარჯავ) ხვიშირაში, რომლებიდანაც ფოლადის მიღებით მიეწოდება ღუმელის დნობის კამერაში. **გათვალისწინებულია 4 სახაჯო** ბუნკერის დამონტაჟება, რადგან კაზმის ჩამოყრა ღუმელში მოხდეს თანაბრად.

დნობის პროცესი მიმდინარეობს 1350 -1500 გრადუს ცელსიუსზე. პროცესს უზრუნველყოფს კაზმში ნაწილობრივ ჩაშვებული საშუალონახშირბადიანი სამი ელექტროდი, რომლებიც ჰიდრავლიკური სისტემით გადაადგილდებიან ზემოთ-ქვემოთ და ქმნიან დნობისთვის საჭირო ელექტრულ პირობებს.

ღუმელის კარკასი ცილინდრული ფორმისაა, შიგნიდან ამოგებულია ცეცხლგამძლე აგურით, ცეცხლგამძლე სილიციუმის კარბიდითა და სატკეპნი პასტით. სადნობ ზონაში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენითი პროცესების მეშვეობით მიიღება შენადნობი, რომელიც გროვდება ღუმელის ფსკერზე.

დნობის პროდუქტების გამოშვება ღუმელიდან ხდება ხვრელიდან, წინასწარ გაანგარიშებული და დადგენილი გრაფიკის მიხედვით. ხვრელი დნობის პროცესის მიმდინარეობისას იკეტება თიხის, კოქსის მტვერის ან წვრილად დაფქული ელექტროდული მასის ნარევით და გამოშვების წინ იხსნება 25 მმ დიამეტრის ფოლადის ღეროს საშუალებით.

ღუმელიდან გამოშვებული დნობის პროდუქტები, კასკადური მეთოდით, ჩამოიხმება ცეცხლგამძლე ამონაგით ამოგებულ ციცხვში, რომელთა მოცულობა შეესაბამება ღუმელის სიმძლავრესა და ფეროშენადნობის ფიზიკურ მახასიათებლებზე დაფუძნებულ საინჟინრო გათვლებს. ღუმელიდან ფეროშენადნობისა და ტექნოლოგიურად მისი თანამყოლი წიდის სრულად გამოსვლის შემდეგ, ხვრელი იკეტება. შენადნობზე წიდის მოცილება ხდება მოწურვის გზით.

შენადნობი იხმება სპეციალურ ფიალებში (მულდებში), საიდანაც გაცივების შემდეგ პროდუქციის ამოღება ხდება ფიალის ამობრუნებით. გაცივების შემდეგ იმსხვრევა, იყრება ბიგ-ბეგებში და თავსდება პროდუქციის დროებით საცავში.



## 3.2. ღუმელის ტექნიკური პარამეტრები

ფეროსილიკომანგანუმის დნობისათვის გათვალისწინებულია 2.5მვა სიმძლავრის ღუმელის გამოყენება, რომლის გეომეტრიული, ელექტრული და ტექნიკური პარამეტრები შემდეგია:

საღუმელე ტრანსფორმატორის მახასიათებლები:

ტიპი TMP-10000/10- 0,4

სიმძლავრე S=400კვა

პირველადი ძაბვა  $U_1 = 10000 - 10 - 0,4$  ვ

მეორადი ძაბვა  $U_2 = 84$  ვ

პირველადი დენი  $I = 23,2$  ა

მეორადი დენი  $I = 3884$  ა

ღუმელის გეომეტრიული პარამეტრები:

ღუმელის გარე დიამეტრი - 5000 მმ.

ღუმელის შიდა დიამეტრი - 4400 მმ.

აბაზანის შიგა დიამეტრი -  $\Delta$  აბაზ = 3400 მმ

ღუმელის სიმაღლე H --3600 მმ.

აგურის ფენის სიმაღლე -500 მმ;

სატკეპნის სიმაღლე -- 700 მმ.

აბაზანი სსიმაღლე – H აბაზ =500მმ

ელექტროდის დიამეტრი –  $d_{ელ} = 600$  მმ

ელექტროდების რაოდენობა -3;


ელექტროდების დაშორება 1075 მმ.

## 3.3. აირმტვერგამწმენდი სისტემა

გზშ-ს ანგარიშით გათვალისწინებულია: სადნობი ღუმელის თავზე გამოყოფილი აირმტვერნარევის გამწოვი სისტემის დამონტაჟება. გაწოვა მოხდება ორო ოთკუთხა (0,5მ×0,5მ ) მილით, დამონტაჟებულია 70 000 მ<sup>3</sup> -სთ. წარმადობის ვენტილატორი. გაწოვილი აირნარევი იკრიბება ერთ 800 მმ-იან აირსავალ მილში და მიეწოდება მტვერდამჭერ სისტემას. მტვერდამჭერი მოეწყობა საწარმოო კორპუსის ჩრდილოეთით, შენობიდან 40 მ-ის დაშორებით

გამწმენდი წარმოადგენს სახელოიან, ქსოვილოვან ფილტრებს, რომელიც დაყენებულია ერთ ლითონის კორპუსში. თითოეული სახელოს დიამეტრი 140 მმ-ია, სიგრძე 3600 მმ. დამონტაჟებულია 300 ცალი სახელო, საერთო საფილტრავი ზედაპირით 470 მ<sup>2</sup>. მტვერდამჭერის საპროექტო ეფექტურობა შეადგენს 99 %-ს. გაწმენდილი აირის გაფრქვევა ხდება 800 მმ დიამეტრის 18 მ სიმაღლის მილით (აირმტვერდამჭერი სისტემის სქემა მოცემულია ნახაზი 3.3.).

გამწმენდი კორპუსის ბუნკერში დაგროვილი მტვერი პერიოდულად ჩაიყრება სპეციალურ ტომრებში და დასაწყობდება ნედლეულის საცავში, შემდგომი გამოყენების მიზნით.



ნახაზი 3.3.

### 3.4. წყალმომარაგება-კანალიზაცია

საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის. საწარმოო მიზნით წყალი გამოიყენება ლუმელის გაგრილების სისტემაში. ობიექტზე მოწყობილია წყლის გამოყენების ბრუნვითი სისტემა. ტერიტორიაზე დადგმულია წყლის შხეფსაცივარი, წყლის სამარაგო ავზით. საწარმოსათვის საჭირო სამეურნეო და საწარმოო წყლების აღება ხდება ტერიტორიაზე მოწყობილი მიწისქვეშა ჰორიზონტის შახტური ჭიდან, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1005470 ლიცენზიის საფუძველზე. სასმელი წყლის შექმნა/შემოტანა მოხდება სასმელი წყლის მწარმოებელი კომპანიებისაგან (უახლოესი მარკეტებიდან).

#### საწარმოს ჩამდინარე წყლები

საწარმოში წარმოიქმნება მხოლოდ საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები, რომლისთვისაც ტერიტორიაზე მოწყობილია სასენიზაციო ორმო. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების დროს გამოყენებული წყალი ჩართულია ბრუნვით წყალმომარაგების სისტემაში, ამიტომ საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. საწარმოს ყველა ტექნოლოგიური პროცესი მომდინარეობს დახურულ შენობაში. ნედლეულისა და პროდუქციისათვის მოეწყობა დახურული საცავი, ამიტომ სანიაღვრე წყლების შეკრებისა და გაწმენდის ორგანიზება საჭირო არ არის.

### 3.5. ნარჩენების მართვა

კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-9 პუნქტის მოთხოვნებისა და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-სა და ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის შესაბამისად სამინისტროსთან შეთანხმებული ჰქონდა ნარჩენების მართვის გეგმა სამი წლის ვადით (2019წ. – 2022 წ.), რომელიც გაახლებული და შეთანხმებულია სამინისტროსთან 2023 წელს.

ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, საწარმოში მიმდინარე ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები პრაქტიკულად უნარჩენოა, ნარჩენები წარმოიქმნება დამხმარე პროცესების დროს. ნარჩენები წარმოიქმნება ასევე, მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო სათავსოში და ოფისში.

საწარმოს ძირითად ნარჩენს წარმოადგენს მანქანა-მოწყობილობების ექსპლუატაციისა და მომსახურების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები, როგორცაა: ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები (13 02 06\*); სინთეზური ჰიდრავლიკური ზეთები (13 01 11\*); სხვა საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები (13 03 10\*); აბსორბენტები, ფილტრის მასალები, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია სამიში ქიმიური ნივთიერებებით (15 02 02\*). შერეული მუნიციპალური ნარჩენები, ასევე ოფისის ნარჩენები.

საწარმოსათვის მეტალურგიული პროცესებიდან მიღებული წიდა განიხილება როგორც პროდუქცია, საწარმო ახდენს მის რეალიზაციას სხვადასხვა მომხმარებლებზე. წარმოქმნილი წიდის ნაწილი ბრუნდება ღუმელში, როგორც მანგანუმის და სილიციუმის შემცველი ნედლეული. დარჩენილი წიდის რეალიზება ხდება მომხმარებლებზე - სამშენებლო მასალების მწარმოებელ ან სამშენებლო კომპანიებზე და კერძო პირებზე.

წარმოქმნილი ნარჩენების ნუსხა „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების შესაბამისად, ასევე ნარჩენების სავარაუდო რაოდენობები და მათი შემდგომი მართვის ღონისძიებები მოცემულია ცხრილში 3.1.

ცხრილი 3.1. ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენები

№	ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათოობის მახასიათებელი	განთავსების/აღდგნის ოპერაციები	სავარაუდო რაოდენობა	შემდგომი მართვა
1	08 03 17*	პრინტერის ტონერი/მელნის ნარჩენი რომელიც შეიცავს საშიშ ნივთიერებებს	დიახ	H5	D10	3 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: “ბრძანება N-1037” 30.12.2015.
2	13 01 11*	სინთეზური ჰიდრაულიკური ზეთები	დიახ	H3-H5	R13	80 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფულ ჰერმეტიკულ კასრში. კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი:

							3286901274. ზეთები ტრასპორტირებული იქნება შპს „ალტერვეისტი“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტზე.
3	13 02 06*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	დიახ	H3-H5	R13	80 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფულ ჰერმეტიულ კასრში. კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ზეთები ტრასპორტირებული იქნება შპს „ალტერვეისტი“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტზე.
4	13 03 10*	სხვა საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები	დიახ	H3-H5	R13	500 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ჰერმეტიულ კონტეინერში. კონტრაქტის საფუძველზე

							ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ზეთები ტრანსპორტირებული იქნება შპს „ალტერვეისტი“10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტზე.
5	15 02 02*	ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრის ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთიერებებით	დიახ	H3-B	D10	50 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფულ ჰერმეტიკულ კასრში. კონტრაქტის საფუძველზე ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: “ბრძანება N-1037” 30.12.2015

6	16 06 01*	ტყვის შემცველი ბატარეები	დიახ	H5	R4	50 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ დახურულ სათავსოში, სტელაჟებზე შემდგომი აღდგენის მიზნით გადაეცემა შპს „იგატუ“-ს. გარემოსდაცვითი გადაწვეტილება N5. 13.07.2017 წ.
7	16 01 03	განადგურებას დაქვემდებარებული საბურავები	არა	--	R12	200 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა შპს „ჯორჯიან სინთეტიკ ოილი“-ს (ყოფილი შპს „დამაკო“) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N34. 28.07.2015წ.
8	20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	--	D1	6000 კგ	გაიტანება თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის მიერ და განთავსდება თერჯოლის მუნიციპალური ნარჩენების პოლიგონზე.

## 4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით გათვალისწინებულ და ფაქტიურად არსებულ მდგომარეობას შორის არსებული შეუსაბამობები

### 4.1. ფაქტიური მდგომარეობის აღწერა

საწარმოს მოწყობისა და ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟის დროს გაირკვა, რომ ღუმელის განთავსებას დასჭირდა უფრო მეტი ადგილი საამქროს შიგნით, ვიდრე პროექტით იყო გათვალისწინებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაკორექტირდა საწარმოს მოწყობის პროექტი. ძირითად შენობას, სამხრეთ-დასავლეთის (შენობის უკან) დაემატა მინაშენი (სურათი 4.1.), რომელშიც განთავსდა ღუმელის ელექტრო კვების ბლოკი, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, საწარმოო შენობის მართობულად, ფარდულის ტიპის გადახურვის ქვეშ მოეწყო საკაზმე ნედლეულის ბუნკერები 5 ერთეული (სურათი 4.2.), დოზირებული კაზმის ბუნკერი და ელევატორი (სურათი 4.3.), ოპერატორის ჯიხური. ნედლეულის სასაწყობე ფარდულსა და აირგამწმენდ ნაგებობას შორის დაემატა ფარდული, ნედლეულისა და სხვადასხვა მასალების დასასაწყობებლად (სურათი 4.4.).



სურათი 4.1.





სურათი 4.2.



სურათი 4.3.




სურათი 4.4.

დაკორექტირებული პროექტის შესაბამისი გენ-გეგმა მოცემულია ნახაზზე 4.1. (წითლად მონიშნულია პროექტის კორექტირებით მომატებული ფართობი) ხოლო შენობის გეგმა - ნახაზზე 4.2.



ნახაზი 4.2.



მისაღობანი:

1. მულტიპურპოზი მულტიპო რუმოი 0-5 000 მმ.
2. მულტიპო
3. აბაზის წარმა რუმოსი
4. კაბა რუმოსი
5. ელ. რუმო
6. ნაბილის რაი
7. შუაბის კაბა
8. ნაბილის კაბა
9. მისაბი რუმო (საბიბიბი)
10. მისაბი
11. ნაბილის კაბა
12. ტანსმობი
13. მისაბი მისაბი
14. საბიბი რუმო (მისაბი)
15. ელ. ხიზრა
16. ტანსმობი 3 ტბ.
17. ტანსმობი 5 ტბ.
18. საბიბი მისაბი
19. საბიბი კაბა
20. ელ. მისაბი
21. მისაბი მისაბი
22. მისაბი

შპს არქიტექტონა ტ. 599270869	ქ. თბილისში, შპს „ჯეო მისაბი“-ს მიწის ნაკვეთი (ს/კ 33.09.43.590) სოლიკომპანია გაგამამშენებელი სარგობის პროექტი				
სტაბი	მისაბი	ნაბი	ფორმატი A-4	მასშ.	1:200
დირექტ. მ. შ.	ო. ნიბი		ტანსმობის მისაბი	მისაბი	2020 წ.
მისაბი	მისაბი		სარგობის მისაბი	მისაბი	ტ-2
მისაბი	მ. მისაბი			სულ. მ.	177

დაკორექტირებული პროექტის შესაბამისად, ღუმელი განთავსებულია ძირითად საწარმოო კორპუსში, რომელშიც მიმდინარეობს დნობისა და მეტალის ჩამოსხმის პროცესი (სურათი 4.5.) გამოშვებული მეტალი ცივხვიდან იხმება მულდებში, რომელშიც ცივდება ბუნებრივად. გაცივების შემდეგ მულდის გადმობრუნებით ხდება შენადნობის ამოღება (სურათი 4.6.). იმსხვრევა ხელის უროს (ჩაქუჩი) საშუალებით და იყრება ბიგბეგებში სარეალიზაციოდ (სურათი 4.7.). შეფუთულ მდგომარეობაში პროდუქციის დასაწყობება ხდება შენობის შიგნით და ეზოში თავისუფალ ტერიტორიაზე.



სურათი 4.5.



სურათი 4.6.



სურათი 4.7.

ღუმელიდან გამოსული წიდა ღარის საშუალებით ისხმება შენობის გარეთ მოწყობილ ორმოში, რომელშიც ცივდება ბუნებრივად (სურათი 4.8.). გაცივების შემდეგ წიდის ამოღება ხდება ექსკავატორის ჩამჩით.



სურათი 4.8.

საკაზმე ბუნკერ დოზატორები განთავსებულია ფარდულის გადახურვის ქვეშ. დოზირებული კაზმი იყრება რტანსპორტიორის ლენტაზე და გროვდება მკვებავ ბუნკერში (სურათი 4.9.). ბუნკერიდან ელევატორის საშუალებით შერეული კაზმი მიეწოდება ღუმელის მკვებავ ხვიმირებს.



გზმ-ს ანგარიშით საკაზმე ბუნკერების მოწყობა გათვალისწინებული იყო ძირითადი კორპუსის შიგნით.

ბუნკერების უკან განთავსებულია წყლის გამაგრილებელი გამშხეფი და შემკრები ავზი, გზმ-ში მოცემულის შესაბამისად (სურათი 4.10).



სურათი 4.10. შხეფსაცივარი

გაგრილების სისტემის გვედით განთავსებულია გამწმენდი ნაგებობა (სურათი 4.11.). თუმცა ფილტში მიწოდებამდე აირმტვერნარევი პირველად მიეწოდება ციკლონს (სურათი 4.12.). ციკლონის მოწყობა არ იყო განხილული გზშ-ს ანგარიშში.



სურათი 4.11.



სურათი 4.12.



წიდა გაცივების შემდეგ გადაიტანება დასამსხვრევად და მიეწოდება ნედლეულის ფარდულის ტერიტორიაზე დადგმულ ყბებიან სამსხვრევს (სურათი 4.13.).



სურათი 4.13.

სამსხვრეველას მოწყობა არ იყო გათვალისწინებული გზშ-ს ანგარიშში.

დამონტაჟებულია ცმდ-106 ტიპის ყბებიანი სამსხვრევი, რომელშიც წიდას მსხვრევა მიმდინარეობს ერთჯერადად. სამსხვრევის დღიური წარმადობა შეადგენს 6 ტ.


#### 4.2. ტექნოლოგიური პროცესი ექსპლუატაციის პირობების შეცვლის შემდეგ

ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ გულისხმობს ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის ცვლილებას.

შენადნობის გამოდნობა მიმდინარეობს იგივე მეთოდით და იგივე ნედლეულის გამოყენებით. შეიცვალა მხოლოდ კაზმის მიწოდების ტექნოლოგიური უბნების განთავსების ადგილი.

ტექნოლოგიური სქემა მოცემულია ნახაზზე 4.4.

ნახაზი 4.4.



- შენიშვნა:
1. მანქანების ვაგონი რაოდენობა 5 000 მმ.
  2. ვაგონი
  3. ავტოს ვაგონი რაოდენობა
  4. კაბა რაოდენობა
  5. ვაგონი
  6. ნაწილი
  7. ვაგონი
  8. ნაწილი
  9. ვაგონი
  10. კონსტრუქცია
  11. ნაწილი
  12. ტრანსპორტი
  13. რეკონსტრუქცია
  14. სასაზღვრო
  15. ვაგონი
  16. ტრანსპორტი
  17. ტრანსპორტი
  18. ნაწილი
  19. სასაზღვრო
  20. ვაგონი
  21. ნაწილი
  22. ნაწილი



შპს „არქიტექტურა“ ბ. 599270869	ქ. თბილისში, შპს „ჯეო-მეტალი“-ს მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.09.43.590) სისტემების მონტაჟის გადამამუშავებელი საპროექტო დოკუმენტი		
სტადია	ტექნიკური ნაწილი	ფორმატი A-4	მასშტაბი 1:200
ფორმატი მ.შ.	0, 800მმ	პროექტი 1-1	თარიღი 2020 წ.
ინჟინერი	სახელმწიფო	ტექნიკური მანერების მონტაჟი	ფურც. 65
შეამოწმა	მ. მამბრძე	სულ. ვ.	100

### 4.3. ღუმელის ტექნიკური პარამეტრები

საწარმოს შეცვლილი არ აქვს ღუმელის ტექნიკური პარამეტრები. ღუმელის გეომეტრიული ზომები, ამონაგი, ელექტროდები და სხვა პარამეტრები შეესაბამება გზმ-ს ანგარიშით განხილულს.

### 4.4. აირმტვერდამჭერი სისტემა


გზმ-ში განხილულია აირგამწოვი და მტვერდამჭერი სისტემა, რომელშიც არ არის გათვალისწინებული ციკლონი.

მეტალურგიულ საწარმოში, სადაც ადგილი აქვს ცხელი აირნარევის გამოყოფას, მის ქსოვილოვან ფილტრში მიწოდებამდე რეკომენდირებულია ციკლონის დაყენება, რომელიც მტვერდამჭერთან ერთად ასრულებს ნაპერწკალჩამქრობის როლს.

ციკლონი შედის ღუმელისა და გამწმენდი სისტემის კომპლექტაციაში, შექმნილი იქნა ერთად, თუმცა გათვალისწინებული არ იყო საწარმოს მოწყობის პროექტში. ერთმანეთს არ ემთხვევა ასევე საფილტრავი ზედაპირის ფართობი, გზმ-ს ანგარიშში მოცემული იყო 470 მ<sup>2</sup>, ხოლო შექმნილი გამწმენდის საპასპორტო მონაცემებით შეადგენს 499,2 მ<sup>2</sup>-ს.

სხვა პარამეტრები, როგორცაა ვენტილატორის სიმძლარე, აირმტვერსავალი მილებისა და ფილტრის სახელოების ზომები შეესაბამება გზმ-ს ანგარიშში განხილულს.

აირმტვერდამჭერის არსებული სქემა მოცემულია ნახაზზე 4.1.



ნახაზი 4.1.

#### 4.4.1. აირმტვერდამჭერი მოწყობილობის დეტალური დახასიათება

##### მოდელი: BDBF2.3 X 5.0 X 3.6 PJ

მყარი ნარჩენები ჩამოიწერება და მეორადად იქნება გამოყენებული დნობის დროს.

- ჰაერისა და ქსოვილის თანაფარდობა 1,2–დან 1,6მ<sup>3</sup>/წთ/მ<sup>2</sup> სახელოიანი ფილტრების შემთხვევაში.
- „პოლიესტერის თექა“ 550გრ/მ<sup>2</sup> სიმკვრივით, ტომრის მუშაობის პერიოდის გახანგრძლივებისა და უკეთესი ფილტრაციისათვის.
- Min 1200 მმ დაშორება იატაკიდან და Rotari Air Look გამომტანიდან.
- წითელი ოქსიდური გრუნტი ორი და ერთი ფენა საღებავი გაზგამწმენდი სადგურის მთელს ზედაპირზე
- შეკუმშული ჰაერის წნევისათვის 1 მანომეტრი.
- მანომეტრი სახელოიან ფილტრებზე, მტვერიანი და სუფთა კამერების შორის წნევის სხვაობის დასაფიქსირებლად.
- 3,5მმ სისქის მავთულის კარკასი, ვერტიკალური 10 ღეროსა და ჰორიზონტალური 20 რკალით
- მბრუნავი საჰაერო საკეტი (RAL 250)
- ძრავ–რედუქტორი (0,55კვტ/31 ბრ/წთ) REMI-ს მარკის Rotary Air Look-ისათვის.
- სტატიკური წნევა 20გრად–ზე 375 მმ/ვცს.წყ.სვეტი, ნორმალური შეწოვისა და სისტემის ეფექტური მუშაობისათვის.

##### **სახელოიანი ფილტრის ტექნიკური მახასიათებლები**

დანიშნულება: ელექტრორკალური ღუმელის გამონაბოლქვის ფილტრაციისათვის.

1. სახელოიანი ფილტრის გამტარიანობა	70 000მ <sup>3</sup> /სთ
2. ტემპერატურა ფილტრის შესასვლელზე	110 – 120 გრად.
3. დამტვერიანება ფილტრის შესასვლელზე	5–დან 10 გრ–მდე ნ.მ <sup>3</sup> (max)
4. მოდელი	BDBF 2.3 X 5,0 X 3.6 PJ
5. სახელოიანი ფილტრის ტიპი	თავისუფალი იმპულსური დაფერთხვა
6. ჰაერისა და ქსოვილის თანაფარდობა	0,80 მ <sup>3</sup> /წთ/მ <sup>2</sup>
7. მთლიანი ფილტრაციის ფართობი	499,2 მ <sup>2</sup> (NET)
8. ფილტრაციის ფართობი თითოეულ სახელოზე	1,6მ <sup>2</sup> (ზომა 140 მმX 3600მმ)
9. მოდულის რაოდენობა	2
10. ფილტრის რაოდენობა მოდულში	156
11. ფილტრების საერთო რაოდენობა	312
12. წნევის ვარდნა ფილტრის შემდეგ	125–150 მმ.ვცს.წყ

13. ფილტრის სახელოს ზომა	140 მმ დიამეტრი, 3600 მმ სიგრ
14. სახელოს საანგარიშო წნევა	1200მმ.წყ.სვ. ურყოფითი
15. საჭირო შეკუმშული ჰაერი	180 მ3/სთ FAD 6-კვ/სმ2 წნევა.
16. სოლენოიდის სარქველის ნომ/ზომა	226/50NB
17. ელექტრომაგნიტური სარქველის სიმძლავრე	24V/DC
18. თანმიმდევრული კონტროლერები	ონლაინ დასუფთავებისათვის
19. პულსის ხანგრძლივობა	110მილიწამი
20. პულსის ინტერვალი	10 – 300 წმ.
21. მტვერის გამოტანის მექანიზმი	ძრავ-რედუქტორიანი გამჭოლ მრუნავი მექანიზმი.
22.ძრავ რედუქტორის სიმძლავრე	0,75კვტ/ 31 ბრ./წთ
23.სარქველის ბრუნვის სიჩქარე	12–15 ბრ/წთ
24. ფილტრის მატერიის ტექ. მონაცემები	წონა 650გრ/მ2 სისქე 2 მმ. მუშა ტემპერატურა 120გრად. ქსოვ. დამზადებულია გერმანიაში მარკა Gutche &Co.
25. პნევმატური სარქველი მოდულზე	6 ცალი
26. ემისიის დონე გამოსასვლელზე	ნაკლები ვიდრე 10 მგ/მ3

**სახელოიანი ფილტრის კონსტრუქციის დეტალები**

კორპუსი	5მმ სისქე
ბუნკერი	5მმ სისქე
მილის კედელი	5მმ სისქე
კოლექტორის ავზი	6მმ
სახელოს კარკასი	3,0 მმ
ფილტრის მასალა	100% პოლიესტერის თეჯა. სილიკონით დამუშავებული.
სოლენოიდის სარქველი	50NB/DC

**გამწოვი ვენტილატორის ტექნიკური მახასიათებლები**

1. წარმადობა	70 000 მ3/სთ
2. სტატიკური წნევა	600 მმ ვც.წყ.სვეტი
3. დასაშვები ტემპერატურა	120გრად.
4. დაწნეხვა	1,2 კვ/მ3
5. ძრავის სიმძლავრე	90 კვტ/სთ
6. შეერთების სახე	ვარსკვლავა/სამკუთხედი
7. დინამიური ბალანსირება	ISO 1940-IS მიხედვით
8. წონა	2200 კგ (ძრავის გამოკლებით)
9. საკისარის No	2222 K
10. ვენტილატორის ტიპი	ცალმხრივი შეწოვის ცენტრიფუგა
11. ვენტილატორის	BDMB—100-200-3-01
12. მბრუნავე დისკის ზომა	1350 მმ

13. ხმაურის დონე	92 დბა
14. დემპერი	პნევმატური ტიპის მრავალსარქველიანი
15. ბრუნვის სიჩქარე	980 ბრ/წთ
16. ელექტრობა	415 ვოლტი 3 ფაზა. 50Hz, AC
17. დაცვის ტიპი	IP-55
18. იზოლაცია	F კლასი
19. რაოდენობა	1 კომპლექტი

## 5. ექსპლუატაციის პირობების შეცვლით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

შპს „ჯეო მეტალ“-ის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ გულისხმობს წარმადობის გარდზას, ნედლეულისა და მიღებული პროდუქციის სახეობისა და რაოდენობის ცვლილებას.

ექსპლუატაციის პირობები შეცვლილია ტერიტორიის ფართობის კორექტირებით, ტექნოლოგიური უბნების გადანაცვლებით, წიდის სამსხვრეველას და გამწმენდ სისტემაზე ციკლონის დამატებით.

განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შეფასებული იქნა გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ყველა შესაძლო მიმართულებით.

### 5.1. ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

გზმ-ს ანგარიშისა და სამინისტროსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ხდება ნედლეულის არაორგანიზებული (ნედლეულის შემოტანა-განთავსება-მიწოდება) და ორგანიზებული წყაროებიდან.

რადგან, ექსპლუატაციის პირობების შეცვლით ხდება მხოლოდ გამოყოფის წყაროების გადანაცვლება და ტექნოლოგიური პროცესები არსებითად არ იცვლება, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები რაოდენობრივად შეიცვლება მხოლოდ ღუმელის გაფრქვევის მილიდან და სამსხვრევის ექსპლუატაციის შედეგად.

ექსპლუატაციის პირობების შეცვლით, ორგანიზებულ გაფრქვევის წყაროზე დამატებულია ერთი საფეხური, ციკლონი, რომლის მტვრის დაჭერის ეფექტურობა იქნება არანაკლებ 40 %. აღნიშნული იწვევს გამწმენდი სისტემის ჯამური ეფექტურობის გაზრდას 99,4 %-მდე და გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობის შემცირებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ღუმელის გაფრქვევის მილიდან გაფრქვეული მტვრის

რაოდენობა 2,88 ტ/წელ-დან შემცირდება 1,728 ტ/წ-მდე (შემცირდება 1.152 ტ-ით).

გზმ-ს ანგარიშით გათვალისწინებულ გამოყოფის და გაფრქვევის წყაროებს დაემატება წიდის სამსხვრევიდან არაორგანული მტვრის გაფრქვევა. რადგან სამსხვრევი დღეში ამსხვრევს მაქსიმუმ 6 ტ ( $6 \times 330 = 1980$  ტ/წელ) წიდას, ხდება ერთჯერადი მსხვრევა, გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება:  $1980 \times 0,07 \times 10^{-3} = 0,1386$  ტ/წელ.

ამდენად, ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ იწვევს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობის გაზრდას, შესაბამისად ექსპლუატაციის პირობების შეცვლით ატმოსფერულ ჰაერზე დამატებითი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

## 5.2. ზემოქმედება ხმაურის წარმოქმნა-გავრცელებაზე

ექსპლუატაციის პირობების შეცვლის შედეგად, საწარმოში დაემატა ხმაურის კიდევ ერთი წყარო ყბებიანი სამსხვრევი, რომელიც განთავსებულია ფარდულის ტიპის შენობაში, რომელიც დასახლებული პუნქტის მხრიდან დახურულია კაპიტალური (ბეტონის) კედლით. ლიტერატურული წყრილებით ცმდ -106 სამსხვრევის ხმაურის მაჩვენებელი 85 დბა -ს შეადგენს. კაპიტალურ კედლის ბგერათსაიზოლაციო ეფექტი 30-35 დბა-ს შეადგენს. შესაბამისად სამსხვრევის მუშაობით გამოწვეული ხმაური მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს საერთო ფონზე.

ამასთან, საწარმოს ტერიტორიიდან დასახლებული პუნქტი განთავსებულია 500 მ-ზე მეტ მანძილზე, დასახლებულ პუნქტსა და საწარმოს ტერიტორიას შორის განთავსებულია ჩქაროსნული საავტომობილო გზა, საწარმოთა ტერიტორიები და შენობა-ნაგებობები.

შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიიდან მგრძნობიარე რეცეპტორამდე ხმაური ვერ მიაღწევს. ექსპლუატაციის პირობების შეცვლით ხმაურის მნიშვნელოვანი მომატება მოსალოდნელი არ არის.

## 5.3. ზემოქმედება წყლის რესურსებზე

საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება დაკავშირებული არ არის რაიმე სახის წყალსარგებლობასთან. არ იწვევს დამატებითი წყლის გამოყენებას, ან ჩამდინარე წყლების წარმოქმნას.

საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში წყალი გამოყენებული იქნება მხოლოდ გაგრილების სისტემაში, რომელიც ჩართულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში.

ამდენად, ექსპლუატაციის პირობების შეცვლით წყლის რესურსებზე დამატებითი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

## 5.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების სახეობებისა და მახასიათებლების შესაბამისად, კომპანიას შემუშავებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც 3 წლის ვადით შეთანხმებულია სამინისტროსთან.

ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ გულისხმობს ტექნოლოგიური პროცესების შეცვლას, ნედლეულისა და მიღებული პროდუქციის სახეობრივ და რაოდენობრივ გაზრდას, შესაბამისად არ არის დაკავშირებული ნარჩენების დამატებით წარმოქმნასთან.

ამდენად, ექსპლუატაციის პირობების შეცვლით ნარჩენები გარემოს დაბინძურების რისკი არ იზრდება.

## 5.6. ნიადაგის/გრუნტის დაბინძურების რისკები

როგორც გზმ-ს ანგარიშშია განხილული, საწარმოს განთავსება მოხდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე. ტერიტორია წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სამეწარმეო დანიშნულებით. ამიტომ საწარმოს მოწყობამდე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა შენარჩუნებული არ იყო. ტერიტორია დაფარული იყო ბეტონის საფარით.

საწარმოს მოწყობისა და ფუნქციონირებისას გრუნტზე ზემოქმედება არ მომხდარა. რადგან საწარმოს მთელი ტერიტორია მობეტონებულია, ამიტომ ნედლეულის, პროდუქციისა და ნარჩენების შემთხვევით დაბნევის, ასევე ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში გრუნტის დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

ექსპლუატაციის პირობების შეცვლით საწარმოს საქმიანობა გრძელდება იგივე საწარმოო მოედანზე, სადაც გათვალისწინებული იყო გზმ-ს ანგარიშით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურების რისკი არ იზრდება.

## 5.7. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

საწარმო განთავსებულია ანთროპოგენურად მაღალი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, სადაც წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა სამეწარმეო დანიშნულების ობიექტები. მისი მოწყობით და ექსპლუატაციით ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

ექსპლუატაციის პირობების შეცვლა მოხდა ტერიტორიის შიგნით საწარმოო უბნების გადანაცვლებით, რაც ვერ მოახდენს ბიომრავალფეროვნებაზე რაიმე გავლენას.



## 5.8. ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება

საწარმო განთავსებულია ანთროპოგენურად მაღალი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, სადაც წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა სამეწარმეო დანიშნულების ობიექტები. მისი მოწყობით ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა.

ექსპლუატაციის პირობების შეცვლით, შიდა ტერიტორიაზე საწარმოო უბნების გადანაცვლება, ან/და ნედლეულის ფარდულში სამსხვრევის დადგმა გარეშე თვალისათვის შეუმჩნეველია და ვიზუალურ ცვლილებას არ იწვევს.

ამდენად, ლანდშაფტის დამატებითი ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

## 5.9. ზემოქმედება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე

საწარმოს გავლენის ზონაში კულტურული და არქეოლოგიური მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს და აქედან გამომდინარე საწარმოს მოწყობით მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება არ მომხდარა.

რადგან ექსპლუატაციის პირობების შეცვლით არ ხდება გარემოზე ზემოქმედების არეალის გაფართოება, შესაბამისად ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

## 5.10. ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები

არსებული საწარმო შედის მომეტებული საფრთხის შემცველი მძიმე, მავნე და საშიში პირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალში, ამიტომ მნიშვნელოვანია ადამიანის (როგორც მომსახურე პერსონალის ისე მიმდებარედ მაცხოვრებლების) ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის განსაკუთრებული ზომების მიღება.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია დაწესებული რეგლამენტის დარღვევის (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ან/და დანადგარების არასწორი მართვა), აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება, საკმაოდ მძიმე სახიფათო შედეგებით. ადამიანთა ჯანმრთელობაზე პირდაპირი ზემოქმედების პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა და მუდმივი ზედამხედველობა.

საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად, საწარმოს ყავს თანამშრომელი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა ყოველდღიურ ინსტრუქტაჟს, საწარმოს ტერიტორიაზე

გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების განთავსებას. შრომის უსაფრთხოების შიდა კონტროლს.

ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს უბედური შემთხვევების რისკების მინიმუმამდე შემცირებას.

#### **5.11. ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე**

ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ არის დაკავშირებული მუშაობის რეჟიმის, წარმადობის, გამოყენებული ნედლეულის, დასაქმებული ადამიანების რაოდენობის გაზრდასთან, შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### **5.12. კუმულაციური ზემოქმედება**

ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ გულისხმობს ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობის გაზრდას, მუშაობის რეჟიმის შეცვლას, არ იწვევს დამატებით ემისიებს ატმოსფერულ ჰაერში. შესაბამისად, გარემოზე დამატებითი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### **5.13. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება**

საწარმოს ექსპლუატაცია არ იწვევს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას. ექსპლუატაციის პირობების შეცვლა არ გულისხმობს წარმადობის ან/და მუშაობის რეჟიმის შეცვლას. არ ხდება ახალი ტერიტორიის ათვისება. გარემოს არცერთ რეცეპტორზე არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

შესაბამისად ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ദാർശനികം

დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან



მასის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 33.09.43.590**

**ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**

განცხადების რეგისტრაცია  
N 882020434875 - 17/07/2020 10:32:33

მომზადების თარიღი  
20/07/2020 18:52:48

**საკუთრების განყოფილება**

ზონა თერჯოლა	სექტორი ქ. თერჯოლა	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიპი:საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუსტგებელი ფართობი: 5950.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:33.09.43.499; 33.09.43.302; შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი: N 01, N 02, N 03, N 04
<b>33</b>	<b>09</b>	<b>43</b>	<b>590</b>	

მისამართი: ქალაქი თერჯოლა, ყოფილი შამხანიურის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია

**მესაკუთრის განყოფილება**

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020311651 , თარიღი 15/06/2020 15:12:45  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/07/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი: 25/01/2018 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება N2019032967317 უ.უ , დამოწმების თარიღი:20/05/2019 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:  
შპს "ჯეო მეგალ" , ID ნომერი:430036695

მესაკუთრე: აღწერა:  
შპს "ჯეო მეგალ"

**იპოთეკა**

საგადასახადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

**შემლდული სარგებლობა**



## დანართი 2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

**ბრძანება** N 2-251

19/03/2019

ქ. თბილისი

### შპს „ჯეო მეტალის“ ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „ჯეო მეტალის“ მიერ წარმოდგენილია თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სამინისტრომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და აღნიშნულის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

შპს „ჯეო მეტალის“ ფეროშენადნობების საწარმომ გაიარა სკოპინგის პროცედურა რომლის შედეგად განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, გზშ-ს პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები და გაიცა სკოპინგის დასკვნა (N30; 14.08.2018წ.).

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, 2019 წლის 4 იანვარს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში გაიმართა აღნიშნული პროექტის საჯარო განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გზშ-ს მომზადებული კომპანიის შპს „სამნის“ და შპს „ჯეო მეტალის“ წარმომადგენლები.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით სამინისტროში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი შენიშვნები და კომენტარები დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შპს „ჯეო მეტალი“ გეგმავს ფეროშენადნობთა საწარმოს განთავსებას თერჯოლის მუნიციპალიტეტში მის კუთვნილ 4769 მ<sup>2</sup> არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.09.43.302). საპროექტო ტერიტორიიდან მდინარე ჩოლაბური დაშორებულია 210 მ-ით. საწარმოში დაგეგმილია ფეროშენადნობის წარმოება ერთი ელექტრორკალური ღუმელის გამოყენებით. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 530 მეტრით.

ფეროსილიკომანგანუმის დნობისათვის გათვალისწინებულია 2.5 მგვტ სიმძლავრის ღუმელის გამოყენება. ტექნოლოგიური პროცესისათვის აუცილებელი მასალები შემოიზიდება ავტომობილების მეშვეობით და საწყობდება დახურულ სათავსოში, საიდანაც ავტოდამტვირთველით მიეწოდება კაზმის უბანს და თავსდება ბუნვერ-დოზატორებში. დოზატორებიდან ნედლეული საჭირო დოზებით იყრება ტრანსპორტიორის ლენტაზე და გროვდება საკაზმე კალათაში. კალათის შევსების შემდეგ დოზირებული კაზმი იყრება ღუმელის მკვებავ (ე.წ. სახარჯავ) ხვიშირაში,

რომლებიდანაც ფოლადის მილებით მიეწოდება ღუმელის დნობის კამერაში. გათვალისწინებულია 4 ბუნკერის დამონტაჟება, რადგან კაზმის ჩამოყრა ღუმელში მოხდეს თანაბრად. დნობის პროცესი მიმდინარეობს 1350 -1500 გრადუს ცელსიუსზე. პროცესს უზრუნველყოფს კაზმში ნაწილობრივ ჩაშვებული საშუალონახშირბადიანი სამი ელექტროდი, რომლებიც ჰიდრავლიკური სისტემით გადაადგილდებიან და ქმნიან დნობისთვის საჭირო ელექტრულ პირობებს.

ღუმელის კარკასი ცილინდრული ფორმისაა, შიგნიდან ამოგებულია ცეცხლგამძლე აგურით, ცეცხლგამძლე სილიციუმის კარბიდითა და სატკეპნი პასტით. სადნობ ზონაში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენითი პროცესების მეშვეობით მიიღება შენადნობი, რომელიც გროვდება ღუმელის ფსკერზე. დნობის პროდუქტების გამოშვება ღუმელიდან ხდება, წინასწარ გაანგარიშებული და დადგენილი გრაფიკის მიხედვით. ხვრელი დნობის პროცესის მიმდინარეობისას იკეტება თიხის, კოქსის მტვერის , ან წვრილად დაფქვილი ელექტროდული მასის ნარევით და გამოშვების წინ იხსნება 25 მმ დიამეტრის ფოლადის დეროს საშუალებით. ღუმელიდან გამოშვებული დნობის პროდუქტები, კასკადური მეთოდით, ჩამოიხშება ცეცხლგამძლე ამონაგით ამოგებულ ციხეში. ღუმელიდან ფეროშენადნობისა და ტექნოლოგიურად მისი თანმყოფი წიდის სრულად გამოსვლის შემდეგ, ხვრელი იკეტება. შენადნობზე წიდის მოცილება ხდება მოწურვის გზით.

შენადნობი იხსნება სპეციალურ ფიალებში (მულდებში), საიდანაც გაცივების შემდეგ პროდუქციის ამოღება ხდება ფიალის ამობრუნებით. გაცივების შემდეგ იმსხვრევა, იყრება კონტეინერში და თავსდება პროდუქციის დროებით საცავში. სადნობი ღუმელის თავზე დამონტაჟდება გამოყოფილი აირმტვერნარევის გამწოვი სისტემა. გაწოვა მოხდება ორი მილით, დამონტაჟდება 70 000 მ<sup>3</sup> -სითში. წარმადობის ვენტილატორი. გაწოვილი მტვერნარევი მასა იკრება ერთ 800 მმ-იან აირსავალ მილში და მიეწოდება მტვერდამჭერ სისტემას. მტვერდამჭერი მოეწყობა საწარმოო კორპუსის ჩრდილოეთით, შენობიდან 40 მ-ის დაშორებით. გამწმენდი წარმოდგენს სახელოიან, ქსოვილოვან ფილტრებს, რომელიც დაყენებულია ერთ ლითონის კორპუსში. თითოეული სახელოს დიამეტრი 140 მმ-ია, სიგრძე 3600 მმ. დამონტაჟდება 300 ცალი სახელო, საერთო საფილტრი ზედაპირით 470 მ<sup>2</sup>. მტვერდამჭერის საპროექტო ეფექტურობა შეადგენს 99 %-ს. გამწმენდილი აირის გაფრქვევა მოხდება 800 მმ დიამეტრის 18 მ სიმაღლის მილით.

საწარმოში დაგეგმილია ფეროსილიკომანგანუმის წარმოება თვეში 250 ტ-ის ოდენობით, რაც წელიწადში შეადგენს 3000 ტონას. საათური წარმადობა 0,38 ტ-ის ტოლია. საწარმო იმუშავებს დღეში 24 საათს, წელიწადში 330 დღეს, რაც წელიწადში შეადგენს 7920 საათს.

საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის. საწარმოო მიზნით წყალი გამოიყენება ღუმელის გაგრილების სისტემაში. ობიექტზე მოეწყობა წყლის გამოყენების ბრუნვითი სისტემა.

საწარმოსათვის საჭირო სამეურნეო და საწარმოო წყლების აღება მოხდება ტერიტორიაზე მოწყობილი ჭიდან მიწისქვეშა მტკნარი წყლის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (N1005470) ლიცენზიის საფუძველზე.

საწარმოში წარმოიქმნება მხოლოდ საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები, რომლისთვისაც ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება საასენიზაციო ორმო. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების დროს გამოყენებული წყალი ჩართული იქნება ბრუნვით წყალმომარაგების სისტემაში. ტერიტორიაზე დაიდგება წყლის შხეფსაცივარი, წყლის სამარაგო ავზით. გაგრილების სისტემის შესავსებად საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 5 მ<sup>3</sup>. ღუმელისა და გაგრილების სისტემის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად, გაგრილების სისტემაში საჭირო წყლის დღიური რაოდენობა შეადგენს 30 მ<sup>3</sup>-ს. დღის განმავლობაში შხეფსაცივარის ავზში წყალი დაემატება გაგრილების პროცესში დანაკარგის შესავსებად. ამგვარად, საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში და გათანილი

იქნება ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს ყველა ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში, როგორც გზშ-ს ანგარიშშია აღნიშნული ნედლეულისა და პროდუქციისათვის მოეწყობა დახურული საცავი, ამიტომ სანიაღვრე წყლების შეკრებისა და გაწმენდის ორგანიზება არ მოხდება.

საწარმოს ფუნქციონირების დროს წარმოიქმნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები. არასახიფათო ნარჩენები შეგროვდება საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ, სპეციალურ კონტეინერში და შემდგომ გატანილი იქნება თერჯოლის მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის საწარმოში მოეწყობა შესაბამისი სათავსო. დაგროვების შესაბამისად სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს თან ახლავს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი.

გზშ-ს ანგარიშის შესაბამის თავებში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით. იდენტიფიცირებულია საწარმოს მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ობიექტის ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: არაორგანული მტვერი, ალუმინის ოქსიდი, კალციუმის ოქსიდი, მაგნიუმის ოქსიდი, მანგანუმის დიოქსიდი, სილიციუმის დიოქსიდი, აზოტის დიოქსიდი; მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ სახლთან მიმართებით (530მ). შესაბამისად, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევებად.

ბიომრავალფეროვნების მხრივ საპროექტო ტერიტორია ღარიბია მცენარეული საფარისაგან და არც წითელი ნუსხით დაცული ფლორა და ფაუნა არ დაფიქსირებულა.

ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ აჭარბებს ნორმით დადგენილ მოთხოვნებს. ყველა ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს შენობის შიგნით საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 530 მ-ით, შესაბამისად მოსახლეობაზე ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მოსალოდნელი.

გზშ-ს ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ს ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლისა და პირველი დანართის მე-5 პუნქტის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „ჯეო მეტალის“ ფროშენდნობების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტი).



2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ჯეო მეტალმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „ჯეო მეტალმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სამინისტროსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობის პარამეტრების დაცვა და, შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „ჯეო მეტალმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში სამინისტროში წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია წარმოქმნილი წიდის მოცულობისა და წიდის მართვის, მათ შორის მისი დროებითი განთავსების შესახებ დეტალური ინფორმაცია (დროებითი განთავსების ადგილის გენერალურ გეგმაზე დატანით);
6. შპს „ჯეო მეტალმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში წარმოადგინოს ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის საკითხების შესახებ;
7. შპს „ჯეო მეტალმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის და საწარმოს ტერიტორიის მორწყვა ცხელ და მშრალ ამინდში მტვრის წარმოქმნის შესამცირებლად;
8. შპს „ჯეო მეტალმა“ ექსპლუატაციაში გაშვებამდე უზრუნველყოს სახელოიანი ფილტრის მოდელის, საპასპორტო მონაცემების, მონტაჟისა და ექსპლუატაციის პირობების შესახებ ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა;
9. შპს „ჯეო მეტალმა“ ექსპლუატაციაში გაშვებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად;
10. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
11. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეზავნოს შპს „ჯეო მეტალს“;
12. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯეო მეტალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
13. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თურჯოლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
14. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი

დანართი 3. ადმინისტრაციული მიწერილობა



**სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება  
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი**

დ. თბილისი, 0114 ბაშაშაძის დ. 6, ტელ: +995 (32) 2720269



DES 0 23 00035539



16/05/2023

შპს "ჯეო მეტალი" -ს (ს/კ 430036695) დირექტორს  
ბატონ ვიქტორ ვაჭარაძეს

იურიდიული მისამართი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა საქარა

ასლი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ბატონო ვიქტორ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 10 აგვისტოს №DES32200000207 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელდა თერჯოლის მუნიციპალიტეტში, შპს "ჯეო მეტალი"-ს (ს/კ 430036695) კუთვნილი ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 მარტის №2-251 ბრძანებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2022 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილისა და 79<sup>8</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №073117 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2022 წლის 15 ნოემბრის №4/551-2022 დადგენილებით, შპს „ჯეო მეტალი“ სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილისა და 79<sup>8</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 5 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგზავნებათ კომპანიის მიმართ შემუშავებული, დეპარტამენტის 2023 წლის 25 აპრილის №003167 ადმინისტრაციული მიწერილობა და გეგალებათ ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, მიწერილობით განსაზღვრულ ვადაში აღმოფხვრათ ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევები.

აქვე გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული მიწერილობით დაკისრებული ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის დადგენას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>8</sup> მუხლის შინაგნის პირველი ნაწილის შესაბამისად.

ასევე, ვინაიდან კომპანია ახორციელებს სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე, შპს "ჯეო მეტალი" ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილ ვადაში მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.

ამასთან, გთხოვთ, მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარმოადგინოთ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში (მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6).

აქვე გვსურს შეგახსენოთ, რომ უფლებამოსილების მქონე ორგანოების თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 84-ე მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ.

დანართი: ადმინისტრაციული მიწერილობა №003167 - 7 ფურცლადა.

პატივისცემით,

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მთავარი  
სახელმწიფო ინსპექტორი

ნელი კორკოტაძე

*ნ. კორკოტაძე*



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო  
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა  
№ 003167

„25“ აპრილი 2023 წ.

ქ.თბილისი, გ.გუყუყას ქ. №6  
თბილისის აპელი

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ

სასტუმრო სატურსტო დანსებულება - გახეობის დაცვა ზედამხედველობის  
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამოცემის დანსებება, იურიდიული მხარდახალი)

ფაქტობრივი; მის: ქ. თბილისი, გ. გუყუყას ქ. №6

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: „შპს „სტელ ჰელპი“ (ს/ნ 430036695)

მის: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფ. ზედასაქარა  
(ობიექტის საფუძვალზე მდებარე სასტუმროს ადგილი, იურიდიული პირის შექმნისას - იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მხარდახალი)

ფიქტიური ფაქტის ფაქტობრივი (პ/ნ 18001005481), 2019 წლის

19 მაისის № 2-251 ბრძანებით გუგუყუყის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №003167

ადმინისტრაციული მიწერილობის დანიშნულება: ადმინისტრაციული მიწერილობა

(გარემოსდაცვითი ზედამხედველობის მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: ახიჯები №003167 ადმინისტრაციული მუნიციპალიტეტის  
მხარეში №2

(ფორმის ანა, საქართველოს მუნიციპალიტეტების ადგილი)

თან ერთად დაწარმო: 5 ფურცელი

(ფორმის ანა, ფურცლების რაოდენობის აღსანიშნავად დასმულია)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

საქართველოს ადმინისტრაციული სამსახურისთვის ყოველწლიურ  
798 მუხის შემთხვევის შიგვით ნაწილის შესაბამისად  
797 მუხის მე-2 ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამგეში თანამდებობის პირი: გუბერატორის მდიანის

(თანამდებობის სახელი, გვარი)

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი  
ნინო კახიკორაძე

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კახიკორაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

ივსება ფორმით

(მიმღებთან იმდენი განმარტებული პირი, რამდენიცაა და თანად)

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 10 აგვისტოს №DES32200000207 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელდა შპს „ჯეო მეტალი“-ს (ს/კ 430036695) კუთვნილი ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 მარტის №2-251 ბრძანებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. კომპანია საქმიანობას არ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:
  - 1.1 კომპანია არ ახდენს წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას, კერძოდ, ტერიტორიაზე არ არის განთავსებული საჭირო რაოდენობის, სათანადო მარკირებისა და ფერის კონტეინერები, არ ხდება მათი უსაფრთხოდ განთავსება და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა;
  - 1.2 მუშა მომსახურე პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
  - 1.3 კომპანიას არ გააჩნია ინციდენტების და უბედური შემთხვევების სააღრიცხვო ეურნალი;
  - 1.4 გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, უახლოეს მოსახლესთან არ აწარმოებს, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინსტრუმენტულ მონიტორინგს და სამუშაო ადგილებსა და ტერიტორიის საზღვართან - ხმაურის დონეების ინსტრუმენტულ გაზომვებს;
  - 1.5 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად, არ ახორციელებს, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგს და მტვერდამჭერი სისტემის ეფექტურობის კონტროლს;
2. ასევე დადგინდა, რომ საწარმოში არსებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, აირმტვერდამჭერი მოწყობილობის პარამეტრები არ არის შესაბამისობაში სამონიტორინგთან 2019 წელს შეთანხმებულ ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით გათვალისწინებულ მონაცემებთან.
3. განხორციელებული ინსპექტირების შედეგად ასევე დადგინდა, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე საწარმოში შეცვლილია ექსპლუატაციის პირობები. კერძოდ:

2023 წლის 25 აპრილის №003167 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

- შეცვლილია საწარმოს ტერიტორიის კოორდინატები, გაზრდილია ფართობი (საწარმო ნაცვლად 4769 მ<sup>2</sup> ფართობისა, განთავსებულია 5950 მ<sup>2</sup> ფართობზე),
- შეცვლილია საწარმოო კორპუსის საინჟინრო პარამეტრები,
- შეცვლილია ღუმელის განთავსების ადგილი და ბუნკერების რაოდენობა (4 სახარჯო ბუნკერის ნაცვლად დამონტაჟებულია 5 ბუნკერი),
- გზს ანგარიშით გათვალისწინებული საწარმოს ტერიტორიაზე წიდის დასაწყობებისა და ტერიტორიიდან გატანის ნაცვლად ხდება, წიდის გაციების უბანზე წარმოქმნილი დიდი ზომის ქერქული ნარჩენის გადამუშავება, საწარმოში დამონტაჟებული მშრალი მსხვრევის დანადგარით და მიღებული წვრილფრაქციული წიდის კვლავ წარმოებაში გამოყენება.

გამოვლენილ დარღვევებზე, 2022 წლის 20 სექტემბერს, შპს „ჯეო მეტალის“ მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>ე</sup> მუხლის პირველი ნაწილისა და 79<sup>ე</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №073117 ოქმი. ოქმი თანდართული მასალებით განხილვის მიზნით გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2022 წლის 5 ოქტომბრის №4/151-2022 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>ე</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>ე</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე, ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, გამოუცხადა სიტყვიერი შენიშვნა. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჯეო მეტალი“-ს მიმართ შემუშავდა, დეპარტამენტის 2023 წლის 25 აპრილის №003167 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2023 წლის 25 აპრილის №003167 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ჯეო მეტალი“-ს (ს/კ 430036695) კუთვნილი ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 19 მარტის №2-251 ბრძანებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, შპს „ჯეო მეტალი“ ვალდებულია:

1. საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (2019 წლის 19 მარტის №2-251 ბრძანების მე-3 პუნქტი), მათ შორის:
  - 1.1 საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მუდმივად უზრუნველყოს წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, მათი უსაფრთხოდ განთავსება და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ორგანიზაციაზე გადაცემა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად. კერძოდ:
    - 1.1.1 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე საჭირო რაოდენობის სათანადო მარკირების და ფერის კონტინერების განთავსება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
    - 1.1.2 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, უზრუნველყოს პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
  - 1.2 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, საქმიანობის განხორციელების პროცესში კვარტალში ერთხელ, უზრუნველყოს უახლოეს მოსახლესთან, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინსტრუმენტული მონიტორინგი, ხოლო წელიწადში ორჯერ უზრუნველყოს სამუშაო ადგილებსა და ტერიტორიის საზღვართან ხმაურის დონეების ინსტრუმენტული გაზომვების ჩატარება. აღნიშნული ქმედება ასევე განახორციელოს საჩივრის შემოსვლის შემთხვევაში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;
  - 1.3 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, შეიმუშაოს სააღრიცხვო ჟურნალი, სადაც მოხდება ინციდენტებისა და უზედური შემთხვევების აღრიცხვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);



1.4 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, საქმიანობის განხორციელების პროცესში მუდმივად უზრუნველყოს მტვერდამჭერი მოწყობილობა(ებ)ის (მათ შორის ფილტრ(ებ)ის ეფექტურობის) პარამეტრების დაცვა და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის - პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და "დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად;

2. დადგინდა, რომ საწარმოში არსებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, აირმტვერდამჭერი მოწყობილობის პარამეტრები არ არის შესაბამისობაში სამინისტროსთან 2019 წელს შეთანხმებულ ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით გათვალისწინებულ მონაცემებთან.

გაცნობებთ, რომ „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტის ადგილმდებარეობის, სიმძლავრის ან/და პროფილის შეცვლის, მოხმარებული საწვავის რაოდენობის გაზრდის, არსებული საწვავის სახეობის შეცვლის ან/და დამატებით საწვავის ახალი სახეობის გამოყენების, რეკონსტრუქციის განხორციელებისას ტექნოლოგიურ პროცესში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის ახალი წყაროების, აგრეთვე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ჩართვის ან/და არსებულის სხვა პარამეტრებით შეცვლის შემთხვევებში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შეთანხმებული პროექტი და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში გაუქმებულად ჩაითვლება. უნდა მოხდეს მათი ხელახლა შემუშავება და შეთანხმება ახალი პირობების გათვალისწინებით.“

აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „ჯეო მეტალი“ ვალდებულია, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შემუშავებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“.

2023 წლის 25 აპრილის №003167 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

3. დადგინდა, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე საწარმოში შეცვლილია ექსპლუატაციის პირობები. კერძოდ:

- შეცვლილია საწარმოს ტერიტორიის კოორდინატები, გაზრდილია ფართობი (საწარმო ნაცვლად 4769 მ2 ფართობისა, განთავსებულია 5950 მ2 ფართობზე);
- შეცვლილია საწარმოო კორპუსის საინჟინრო პარამეტრები;
- შეცვლილია ღუმელის განთავსების ადგილი და ბუნკერების რაოდენობა (4 სახარჯო ბუნკერის ნაცვლად დამონტაჟებულია 5 ბუნკერი);
- გზს ანგარიშით გათვალისწინებული საწარმოს ტერიტორიაზე წიდის დასაწყობებისა და ტერიტორიიდან გატანის ნაცვლად ხდება, წიდის გაციების უბანზე წარმოქმნილი დიდი ზომის ქერქული ნარჩენის გადამუშავება, საწარმოში დამონტაჟებული მშრალი მსხვრევის დანადგარით და მიღებული წვრილფრაქციული წიდის კვლავ წარმოებაში გამოყენება.

აღნიშნული ცვლილებები არ არის განხილული „სილიკომანგანუმის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, რაც წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების შეცვლას და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჯეო მეტალი“ ვალდებულია, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით.

ნ. ხოჯოქაძე